

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

არქიტექტურის, ურბანისტიკისა და დიზაინის ფაკულტეტი

საგანი: ურბანული განვითარების სოციოკულტურული საფუძვლები

თემა : მოსახლეობის სოციალური კონტაქტების ევოლუცია თბილისის
ურბანული განვითარების პროცესში

სტუდენტი: თამარ ბენაშვილი


ხელმძღვანელი: ვლადიმერ ვარდოსანიძე, სტუ სრული პროფესორი, აკადემიური დოქტორი

ყველა ქვეყნისათვის დამახასიათებელია უნიკალური ცხოვრების წესი, მსოფლმხედველობა, დამოკიდებულება ადამიანებს შორის და მათი დამოკიდებულება გარესამყაროს მიმართ, რომელიც ვლინდება კიდევ ამ ქვეყნების არქიტექტურაში და სძენს მას განუმეორებლობასა და უნიკალურ მახასიათებელს. თითოეული დედაქალაქი რაღაც ასოციაციებს იწვევს. ასე, მაგალითად, სტოკჰოლმი ჩემთვის ასოცირდება მანსარდიან სახლებთან; პრაღა - ძველ და ახალი ქალაქის უნიკალურ შერწყმასთან და წითელსახურავიან სახლებთან; რიგა - მოვლილ, მყუდრო ქუჩებთან და ფართო მოედნებთან და ა.შ. ადამიანების ფსიქოლოგია კი ალბათ, ყველაზე კარგად საცხოვრებლების არქიტექტურაში ვლინდება.

მრავლისმეტყველია თბილისური ეზოც, რომლის გეგმარებით სტრუქტურაშიც პირდაპირ იყო ასახული თბილისის მოსახლეობის ცხოვრების პრინციპი, განსაკუთრებული სოციოკულტურული ურთიერთობები მეზობლებს შორის, გახსნილობა. თბილისური ეზოს ფენომენის ჩამოყალიბებას სოციალურის გარდა, კლიმატური ფაქტორებიც განაპირობებდა. აივანი, რომელიც წარმოადგენს გარდამავალ საფეხურს შიდა და გარე სივრცეს შორის, წელიწადის უმეტეს ნაწილში იქცეოდა ხოლმე თავშეყრის ადგილად.

ზემოთ აღნიშნული ტიპის განაშენიანება დამახასიათებელია თბილისის ძველი უბნებისათვის. მოგვიანებით განვითარებული პოლიტიკური და სოციალური მდგომარეობის ცვლილებები ისევ და ისევ აისახა არქიტექტურაში, მათ შორის, საცხოვრებლების არქიტექტურაში. ფუნქციონალიზმი, რომელიც ევროპაში უკვე ნაკლებად პოპულარული იყო, სოციალისტური სახელმწიფოს პრინციპებისათვის თავსებადი აღმოჩნდა. საცხოვრებელი სახლების ფუნქცია ადამიანისთვის საცხოვრებელი პირობების უზრუნველყოფაა, შესაბამისად თბილისის ახალი საცხოვრებელი კვარტლების არქიტექტურაში ეს პრინციპი იქცა ამოსავალ წერტილად. შედეგად კი მივიღეთ ვარკეთილის, გლდანისა და ვაზისუბნის მსგავსი განაშენიანება, რომელიც ერთი შეხედვით არაფრით არ ჰგავს ძველი თბილისის უბნების საცხოვრებელ სახლებს. ერთი შეხედვით მართალია, საქმე გვაქვს სრულიად განსხვავებულ ორ ფენომენთან მაგრამ მათ საერთო აქვთ მოსახლეობის მსოფლმხედველობა და ცხოვრების პრინციპი, რომელიც, მართალია ბევრად ნაკლები დოზით, მაგრამ მაინც ვლინდება შედარებით გვიან განაშენიანებულ თბილისის უბნებში. მიუხედავად საცხოვრებელი ბინების „ჩაკეტილობისა“ საცხოვრებელი სახლის (კორპუსის) ეზო მაინც ითვლება მეზობლების თავშეყრის ადგილად: ბავშვები - სათამშოდ ჩამოდიან, უფროსები კი სალაპარაკოდ.

როგორც ზემოთ აღვნიშნე, ახლად განაშენიანებული უბნების გეგმარებითი სტრუქტურა სრულიად სხვა ფენომენია და სათავეს იღებს ფუნქციონალიზმის იდეური პრინციპებიდან. თუმცა, თუ დავაკვირდებით, რაღაც საერთოს მაინც დავინახავთ თბილისური ეზოს არქიტექტურულ-გეგმარებით სტრუქტურასთან. რასაკვირველია, მასშტაბები სრულიად განსხვავებულია. ვარკეთილის აეროფოტოსურათზე კარგად დავინახავთ, რომ სახლების უმეტესობა გეგმაში არ წარმოადგენს სწორკუთხედს, არამედ ისეთი ფორმისაა, რომ თითოეულ სახლთან იქმნება შიდა ეზოს მსგავსი სივრცე. აქ შეიძლება იყოს გამწვანება, ჩამოსაჯდომები, და



ა.შ.



თუმცა, სამწუხაროდ, ხშირად ამ სივრცის ძირითადი ნაწილი ავტოსადგომებს (გარაჟებს) უკავია.

არსებობს განსხვავებული მოსაზრებები თბილისური ეზოს ცხოვრების წესთან დაკავშირებით. ზოგისთვის ის სავსებით მისაღები და მისასალმებელიც კია. ზოგი მიიჩნევს, რომ სოციალური განსხვავებულობის პირობებში ადამიანებს ურჩევიათ უფრო მეტად განცალკევებული, ჩაკეტილ კარს მიღმა ცხოვრება, მინიმალური არაფორმალური სოციალური კონტროლით. ორივე მოსაზრებას თავისებურად მყარი არგუმენტები უდევს საფუძვლად. თუმცა ალბათ საინტერესოა მოსახლეობაში ზოგადი განწყობის დანახვა ამ იდეის მიმართ. ამ საკითხის უფრო ღრმად შესასწავლად საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სტუდენტებმა (სალომე ცხადაძე, მედეა ქირია, მირანდა შემილაძე, თამარ ბენაშვილი) ჩავატარეთ საზოგადოების გამოკითხვა როგორც შედარებით გვიან აშენებულ (ვარკეთილი), ისე თბილისის ძველ უბნებში (ვერა, სოლოლაკი).

კითხვარი ისე იყო შედგენილი, რომ საშუალება გვქონოდა დაგვენახა კავშირი მთავარ საკითხსა და მოსახლეობის ასაკს, ამ ადგილას ცხოვრების ხანგრძლივობასა და ხშირ საურთიერთობო წრის „გეოგრაფიას“ შორის. („სად ცხოვრობენ ის ადამიანები, ვისთანაც ყველაზე ხშირად გაქვთ ურთიერთობა?“).

ხშირად ადამიანებისთვის თბილისური („იტალიური“) ეზო ასოცირდება საერთო სველ წერტილსა და სამზარეულოსთან, რაც დღევანდელ დღეს დიდი დისკომფორტია. იმდენად დიდი, რომ უკანა პლანზე გადადის ეზოსთვის დამახასიათებელი ურთიერთობების საკითხი.

ამიტომ, კითხვა შემდეგნაირად დავსვით: რამდენად მისაღებია თბილისური ეზოსათვის დამახასიათებელი ცხოვრების პრინციპი, თუკი უზრუნველყოფილი იქნება ინდივიდუალური კომფორტის ელემენტები (საკუთარი სვ. წერტილი და სამზარეულო).

სამუშაო ჰიპოთეზის თანახმად, ვფიქრობდი, რომ ადამიანებისთვის გარკვეულწილად მისაღები უნდა ყოფილიყო თბილისური ეზოს პრინციპი, რომელიც ახლობელია როგორც თბილისის ძირძველი უბნებისთვის, ისე ახალი უბნებისთვისაც. ახალ უბნებში (ვარკეთილი) მოსახლეობის დიდ ნაწილს შეადგენს რეგიონებიდან ჩამოსული ადამიანები, უფრო მეტად კახეთიდან. კახეთისთვის კი სულაც არ არის უცხო ცხოვრების მსგავსი პრინციპი: ხშირად ნათესავები ცხოვრობენ საერთო ეზოში განლაგებულ სახლებში (მაგალითად, ძმები თავიანთი ოჯახებით, ბიძაშვილები და ა.შ.)

თუმცა, არსებობდა მეორე, საპირისპირო მოსაზრებაც: ეკონომიკურმა და სოციალურმა განსხვავებულობამ ადამიანები საკუთარ „ბინებში ჩაკეტა“. შეიძლება ადამიანებს სულაც არ სჭირდებოდათ არაფორმალური საზოგადოებრივი კონტროლი.


გამოკითხვის შედეგების ასაკობრივი დაჯგუფების შედეგად მივიღეთ, რომ თბილისური ეზოს იდეას ყველაზე მეტი „მოწინააღმდეგე“ ვარკეთილის მოსახლეობაში გამოუჩნდა 30-50 წლამდე ასაკობრივ ჯგუფში (20%) და ყველაზე მეტი „კატეგორიული“ მომხრე - 50-60წლამდე ასაკობრივ ჯგუფში (71%). ხოლო „ნეიტრალური მომხრე“ – 20-30 ასაკობრივ ჯგუფში (57% მისაღებია)

იმ ადამიანებიდან, რომელთათვისაც მისაღები ან სასურველია თბილისური ეზოს ცხოვრების პრინციპი, 58% მიეკუთვნება 20-50 ასაკობრივ ჯგუფს. როგორც წესი, ადამიანები უმეტესად ამ ასაკობრივ დიაპაზონში არიან დასაქმებულები.

ძველ თბილისში იდეას ყველაზე მეტი მოწინააღმდეგე გამოუჩნდა 20-30 წლამდე ასაკობრივ ჯგუფში (25%), ყველაზე მეტი „კატეგორიული მომხრე“ - 50-60 ასაკობრივ ჯგუფში (77,8%) და „ნეიტრალური მომხრე“ – 60-80 ასაკობრივ ჯგუფში (66,6%). აღსანიშნავია, რომ 50-60და 60-80 ასაკობრივ ჯგუფში იდეას არ ჰყავს მოწინააღმდეგეები. ამ მონაცემებზე დაყრდნობით შეიძლება ვიმსჯელოთ, რომ უფროსი თაობებისთვის თბილისური ეზოს ცხოვრების პრინციპი უფრო მეტწილად მისაღებია, ხოლო ახალგაზრდა თაობებში (20-30) შეინიშნება პროტესტი მის მიმართ, რაც სავარაუდოდ გამოწვეული უნდა იყოს სოციალური ან ეკონომიკური განსხვავებულობით, უფრო მეტად კი სავარაუდოა რომ არაფორმალური საზოგადოებრივი კონტროლის არსებობით.


ვარკეთილის მოსახლეობის ზოგადი დამოკიდებულება იდეის მიმართ

ასაკობრივი ფაქტორის გათვალისწინებით



ზოგადი დამოკიდებულება იდეის მიმართ ძველ თბილისში


ასაკობრივი ფაქტორის გათვალისწინებით




მოსახლეობის ამ ადგილას ცხოვრების ხანგრძლივობის ფაქტორთან დაკავშირებით მივიღეთ შემდეგი:

თბილისური ეზოს ცხოვრების წესს ყველაზე მეტი მოწინააღმდეგე ვარკეთილში ჰყავს ადამიანებში, რომლებიც 1-5 წელია ცხოვრობენ ამ ადგილას (25%), და ყველაზე მეტი მომხრე ყავს ადამიანებში, რომლებიც 10 წელზე მეტია ცხოვრობენ ვარკეთილში(56%). ძველ თბილისში ყველაზე „მეტი“ მოწინააღმდეგე იდეას გამოუჩნდა ადამიანებში, რომლებიც 5-10 წელია ცხოვრობენ ამ ადგილას (3 გამოკითხულიდან 1, ანუ 33,3%) ყველაზე მეტი მომხრე გამოუჩნდა ადამიანებში, რომლებიც 10 წელზე მეტია ცხოვრობენ ძველ თბილისში. ლოგიკურია, რომ თუ 10 წელზე მეტია ერთ ადგილას ცხოვრობ, ე.ი. ეს ცხოვრების წესი მისაღები უნდა იყოს შენთვის, თუმცა 70%ისთვის არა მხოლოდ მისაღებია, არამედ მიესალმება კიდევ ამ იდეას. დამაინტერესა დასაქმებულობის ფაქტორმა და ამ ადამიანებში (10 წელზე მეტი ცხოვრების ხანგრძლივობით ძველ თბილისში) დავითვალე 20-დან 50 წლამდე ადამიანების რიცხვი. (ალბათ ყველაზე მეტი ადამიანი დასაქმებულია სწორედ ამ ასაკობრივ ჯგუფში) აღმოჩნდა რომ 53,6% მიესალმება ამ წინადადებას.

იდეის მიმართ ზოგადი დამოკიდებულება ძველ თბილისში ამ ადგილას ცხოვრების ხანგრძლივობის ფაქტორის გათვალისწინებით



იდეის მიმართ ზოგადი დამოკიდებულება ვარკეთილის მოსახლეობაში ამ ადგილას ცხოვრების ხანგრძლივობის ფაქტორის გათვალისწინებით




მოსახლეობის სანაცნობო წრის „გეოგრაფიასთან“ დაკავშირებით მივიღეთ შემდეგი:

შესაბამისად, იდეას ყველაზე მეტი მოწინააღმდეგე ვარკეთილში ჰყავს ადამიანებში, რომელთა სანაცნობო წრე ვრცელდება სხვაგან (1 ადამიანი) ხოლო ყველაზე მეტი მომხრე ჰყავს ადამიანებში, რომელთა სანაცნობო წრე ვრცელდება კორპუსის მასშტაბით (77,8%) ანდა უბანში (55%მისაღებია). ძველ თბილისში იდეას ყველაზე მეტი მოწინააღმდეგე ჰყავს ადამიანებში, რომელთა სანაცნობო წრე ვრცელდება უბანში (10,3%) და ყველაზე მეტი მომხრეც იგივე ჯგუფში (89,7%)


იდეის მიმართ ზოგადი დამოკიდებულება ვარკეთილის მოსახლეობაში

სანაცნობო წრის არეალთან დაკავშირებით



იდეის მიმართ ზოგადი დამოკიდებულება ძველი თბილისის მოსახლეობაში

ხშირი საურთიერთობო წრის არეალთან მიმართებაში




საერთო ჯამში მივიღეთ, რომ გამოკითხულთა 10,2% ეწინააღმდეგება ამ იდეას, 3,8% არ უფიქრია, 37,3% მისაღებია და 48,7% „გრძნობს ურთიერთობების გარკვეულ დანაკლისს და მიესალმება ამგვარ წინადადებას“. ამ მონაცემების საფუძველზე შეიძლება დავასკვნათ, რომ

გამოკითხული ადამიანების 86%-ისთვის სავსებით მისაღებია თბილისური ეზოსათვის დამახასიათებელი ცხოვრების პრინციპი.

თბილისური ეზოს ცხოვრების წესის მიმართ ზოგადი დამოკიდებულება

თბილისის ძველ და შედარებით გვიან განაშენიანებულ უბნებში



თბილისური ეზოს გეგმარებითი სტრუქტურა სავსებით მისაღები იქნება ისეთი ერთეულებისათვის, როგორცაა სოციალური სახლები. დღეისათვის ეს თემა გამოწვევას წარმოადგენს და კარგი იქნება, თუ ამგვარი სახლები მიიღებენ არა უბრალოდ თავშესაფრის ფუნქციას, არამედ გარკვეული სოციალური ინტეგრაციისათვის ხელშემწყობი მექანიზმის ფუნქციასაც. თუკი თბილისური ეზოს იდეას ჩვეულებრივ საცხოვრებელ სახლებში გარკვეული წინააღმდეგობა შეიძლება შეუქმნას სოციალური განსხვავებულობის ფაქტორმა, სოციალურ საცხოვრისებში ეს გარემოება წაშლილია და საქმე გვაქვს მეტნაკლებად ერთგვაროვან მოსახლეობასთან ეკონომიკური და სოციალური ნიშნით. მტკივნეული თემაა მზრუნველობასმოკლებული ბავშვების საკითხი, როდესაც მათ უწევთ თავშესაფრის დატოვება. სოციალურ სახლებში მათი მოთავსება ალბათ ლოგიკური გადაწყვეტილება იქნებოდა, ხოლო ზემოთხსენებულ პრინციპზე აშენებული სოციალური სახლები გააადვილებდა მათ ინტეგრაციას საზოგადოებაში.

მიზეზი, რატომაც ამ თემით დავინტერესდი არის სწორედ სოციალური საცხოვრებლის პროექტის შედგენა ვაზისუბანში. რასაკვირველია, სოციალური სახლი უნდა იყოს მაქსიმალურად ეკონომიური როგორც მშენებლობის ხარჯების, ისევე ექსპლუატაციის ხარჯების თვალსაზრისით. ადამიანებისთვის კი ცხოვრებაში მრავალფეროვნების, ურთიერთობების ფაქტორის, ცხოვრების „ხალისის“ შეტანა აუცილებელია. გადავწყვიტე, რომ თბილისური ეზოს პრინციპი იყო სწორედ ის, რაც ამ შემთხვევაში ზუსტად წაადგებოდა სიტუაციას, თუმცა საკითხის შესასწავლად საჭირო გახდა გამოკითხვის ჩატარებაც.

p.s. გარდა თემასთან უშუალოდ დაკავშირებული დასკვნებისა, გამოკითხვის ჩატარებით მნიშვნელოვანი გამოცდილება მივიღე და მივედი იმ დასკვნამდე, რომ არქიტექტორისა და მითუფრო სტუდენტის მუშაობა უფრო შედეგიანი, გააზრებული და ლოგიკური იქნება არა მხოლოდ უშუალოდ პროექტზე მუშაობით „ფანქრითა და რეიშინით“, არამედ მოსახლეობის აზრის გაგებითაც, რომელიც აუცილებლად სწორ დასკვნამდე მიგვიყვანს და ოპტიმალურ გადაწყვეტილებებს მიგვაღებინებს.